საქართველოს პრეზიდენტის

ბრძანებულება №209

2017 წლის 27 ივლისი

ქ.თბილისი

„საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 19 დეკემბრის №963 ბრძანებულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 19 დეკემბრის №963 ბრძანებულებაში (www.matsne.gov.ge, 19/12/2013, 010210040.08.002.016900) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის არყოფნისას მის მოვალეობას ასრულებს საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის პირველი მოადგილე ან საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის დავალებით-საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის ერთ-ერთი მოადგილე.“.

მუხლი 2

ეს ბრძანებულება ამოქმედდეს 2017 წლის 27 ივლისიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი**